ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15240866**

თარიღი:**26/03/2024**

ქალაქ ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი მე-2 შესახვევი N16-ში და აფსაროსის გზატკეცილი მე-2 შესახვევი N16-ს მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.36.22.130; ს/კN05.36.22.618) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქალაქ ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი მე-2 შესახვევი N16-ში და აფსაროსის გზატკეცილი მე-2 შესახვევი N16-ს მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.36.22.130; ს/კN05.36.22.618) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კN05.36.22.130; ს/კN05.36.22.618) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს შპს ,,სეიფ ინვესტს“ (ს/N445706095), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის მეორე ეტაპზე წარმოადგინოს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“-ს წერილი, საპროექტო ობიექტის სიმაღლის განსაზღვრის შესახებ.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი